კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

სამშაბათი, იანვარის 28. (იანვარის 15). 1919 წელი.

№ 17.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური ფასიანი გაზეთი

კლდე

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 8

ტელეფონი № 18—21.

საქართველოს სახ. წიგნთსაცავი
შეიტანა 1962
№ 20

დღეს, 28 (15) იანვარს

საღამოს 7 საათზე, ოლგას ქუჩაზე, მაჩაბელის სახლში

(№ 52—სასწავლებელი) შესდგება

საარჩევნო კრება

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ (გაზეთ „კლდის“ მიმართულებისა)

მომხსენებელნი არიან პარლამენტის წევრნი:

ვეშაპელი გრიგოლ, ქარუმიძე შალვა, ვაჩნაძე დავით, გაბაშვილი რევაზ.

წესრიგები

გ. ვეშაპელის სიტყვა პარლამენტში მიწის საკითხის შესახებ.

ფელეტონი რიხტგრის სოციალისტური რესპუბლიკა თ. XVII

ცნობები.

რუსის ბოლშევიკებისა და მოკავშირეთ შორის ოთხმერი მოხდება

საზაგო კონფერენცია ხალხთა ლიგის საკითხზე მსჯელობს

ჟორდანია ქალაქისს გაემგზავრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვ. 257
გვ. 4
სარ.

სია № 8

„საქართველოს ეროვნული პარტიისა“

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე, პარლამენტის წევრი; გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს; ძე პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი,
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე; ლიტერატორი.
12. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
13. ელიავშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
14. კაპანელი (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
15. ეკალაძე ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
16. ღოლობერიძე დავით სიმონის ძე; კოოპერატორი.
17. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე; პედაგოგი.
18. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
19. იმხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
20. ღუდუშაური ბართლომე; მღვდელი.
21. იაშვილი მიხეილ ჯიბრაელის ძე; ექიმი.
22. ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი
23. ივანიცკი ტარასი; დეკანოზი.
24. მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
25. სიდამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
26. ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
27. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
28. პირველი მიხეილ; მეურნე.
29) მგალობლიშვილი ივანე პაატას ძე; ბანკის დამფასებელი.
30. ქასრაშვილი კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

სია № 8

«საქართველოს ეროვნული პარტიისა»

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

1) ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე, პარლამენტის წევრი; გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.

2) ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.

3) ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომისიის წევრი.

4) გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; მზათა კომისიის წევრი.

5) მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის წევრი.

6) ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; პარლამენტის ყოფ. წევრი; ექიმი.

7) სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.

8) გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერ-ქიმიკოსი; კომერსანტი.

9) ციციშვილი ივანე გიორგის ძე; „მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის წევრი.

10) იმხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.

11) მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.

12) მგალობლიშვილი ივანე პაატას ძე; ბანკის დამფასებელი.

13) ერისთავი რევაზ იასონის ძე; მეურნე.

14) მაჩაბელი სოლომონ ვახტანგის ძე; მეურნე.

15) ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი.

16) ცაგარელი ივანე ანტონის ძე; სახლის პატრონი.

17) კალატოზიშვილი კოტე ვასილის ძე; მეურნე.

18) ციციშვილი ალექსანდრე დავითის ძე; მეურნე.

19) ყავრიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე; აგრონომი.

20) იმნაიშვილი გერასიმე; პედაგოგი.

21) ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.

22) კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე;

23) სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე; მწერალი.

მიწის საკითხი.

გ. ვეშაპელის სიტყვა პარლამენტში*).

სოციალ-დემოკრატიულ მიწის დეკრეტს მხოლოდ ერთი გამართლება აქვს. მისი წყალობით უნდოდათ აეფორიაქებიათ სოფელი, აემხეღრებიათ გლეხობა თავად აზსაურულ ინტელიგენციაზე და ამით ჩაეგდოთ თავისი პარტია ხელში გავლენა სოფელზე; ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა გადასწყიტეს, რევოლუცია არ იქნება, თუ რომელიმე კლასის ჭონების ექსპროპრიაციით და გაყოფით უმრავლესობის გული არ მოვიგეთო და იი ასეთ კლასად გაწირეს კიდეც სოფლის მემამულენი, რადგან ქალაქის კაპიტალისტების შეხება უფრო სახიფათო იყო და მეტ ძალას მოითხოვდა... ამის წყალობით და აგრეთვე იმათი დახმარებით, ვინც ბოლშევიკურ ფრონტიდან შინ დაბრუნდა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მართლაც ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება მთელს საქართველოზე და ახლა მხოლოდ იმისთვის სცემს კანონებს, რომ ეს ძალა ხელიდან არ გაუშვას.

ეს იყო და ეს, თორემ ნამდვილ მეურნეს, მეოჯახეს, დარბაისელ გლეხს სრულიადაც არ უნდოდა და არც უნდა ნაძალადევი ნაყაჩაღარი მიწის მიღება; ჯერ მაშინ, როცა სოციალისტებში ჩასათრევად უფასოდ პირდებოდენ მიწებს, გლეხს მაშინაც პირდაპირ მემამულესაგან მიწის ყიდვა ერჩივნა; ეხლა კი, როცა სოციალ-დემოკრატები ამბობენ, მემამულეებისაგან უფასოდ ჩამორთმეული მიწაში ხაზინას ფული მიეცით და საკუთრებად მიიღებთო, ეხლა სულ აუცრუვდება სოფელს გული „რევოლუციის მონაპოვარზე“ და იტყვის: ეს რა ამბავია, გუშინ უფასოდ არიგებდენ, დღეს ყიდიან ფასით, ხვალ შეიძლება მეც ჩამომართვან უფასოდ— რათ მინდა ასეთი დავიდარაბა, ის არა სჯობია, რომ მოვიცადო, ჩემით ვიყიდო და საშვილიშვილოდ დავიმკვიდრო ისე, რომ წართმევის შიში აღარ მქონდესო?

და ეხლაც ყიდულობს იგი, თუმცა კანონით ყიდვა—გაყიდვა მიწებისა აკრძალულია; გლეხი კი არღვევს კანონს, ყი-

*) ნათქვამი პარლამენტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვის პირობას წინა წლეულის თარიღით სწერს შინაურულად და პირდაპირ შემამულესაგან ყიდულობს მიწას; სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისტი ბ-ნი ს. გურული მოგვითხრობდა ამას წინად გაზეთ „ერთობაში“ თუ რა კომბინაციებს არ იგონებენ იმერეთში, რომ მიწა იყიდონ; ამას ჩადიან ის გლეხები, რომელთაც ვითომც ასე აბედნიერებენ ეხლა სოციალ-დემოკრატები! რაშია საქმე, შეიძლება იმაშია, რასაც ბ-ნი ნოე ჯორდანია სწერდა 1907 წელს; „მიწების გაყიდვის შესახებ“--გლეხისათვის, მიწის ყიდვის დროს, შემამულესთან პირდაპირ საქმის დაჭერა სჯობს, ვიდრე სახელმწიფოსთანა: „მემამულე პირველ ყოვლისა, კერძო კაცია, მასთან მოლაპარაკება, ვაჭრობა უფრო ადვილია, ვიდრე სახელმწიფოსთანა“ (ნ. ჯორდანიას რჩეული ნაწერები 537—541)...

იმერელმა გლეხმა ეს უჯორდანიოთაც იცოდა და იმიტომაცაა, რომ ის გვერდს უხვევს დეკრეტებს; შეიძლება თქვენა გგონიათ, რომ გლეხი დარწმუნდება ეხლანდელი კანონით და გადიხდის ფულს ნაყიდარ მიწაში იმ აზრით, რომ საკუთრებას ვიძენო? სრულიადაც ნუ გეგონებათ ამის იმედი: გლეხმა შეიძლება გადიხადოს კიდეც ის ათასი მანეთი, რომელსაც ხაზინა თხოულობს მიწაში, მაგრამ ამას იმიტომ კი არ იზამს, რომ სოციალისტური „კუპჩა“ სწამდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ფასი, რომელსაც ხაზინა ახდევინებს დესეტინაზე, გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ერთი წლის მოსავლის დირებულება და გლეხიც იანგარიშებს ამას და იტყვის: ამ ერთ წელს ვითომც ლალა გადამიხდია ან აჯარაო და მერმე კი რაც იქნება იქნება, თუნდაც „კიხერი მოუტეხიათო... იმას კი არც ერთი გლეხი არ დაიჯერებს, რომ ეხლანდელი ხაზინისათვის ფულის მიცემით მიწას საშვილიშვილო საკუთრებად იძენდეს!

საქართველოს ამბები.

დღეს, 28 (15) იანვარს საღამოს 7 საათზე, ოლგას ქუჩაზე, მაჩაბელის სახლში (№ 52—სახწავლებელი) შეხდგება საარჩევნო კრება „საქართველოს ეროვნულ პარტიის“ (გაზეთ „კლდის“ მიმართულებისა) მომხხენებელნი არიან პარლამენტის წევრნი: ვეშაპელი გრიგოლ, ჭარუხიძე შალვა, ვაჩნაძე დავით, გაბაშვილი რევაზ.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი.

სოციალისტური რესპუბლიკა.

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XVII

სახელოსნოებში

დღეს მივიღე კონტროლერის თანამდებობა, რომელიც შეპირებული მქონდა ქალაქის სამმართველოში მოსამსახურე ჩემის მეგობრისაგან, მაშასადამე, ამის შემდეგ აღარ დამჭირდება სახელოსნოში წიგნის მკაზმავად მუშაობა. აბა ჩემი ფრანციც რომ ასე განთავისუფლდებოდეს ლეიპციგში ასოთ ამწყობის კასიდან. ჩვენ როდი გვძულს ჩვენი ბროფესიონალური სამუშაო, მაგრამ ჩემი ფრანციც ჩემსავით არის: ვერ შეეთვისეთ სახელოსნოში დამყარებულ დღეანდელ წესებს. მარტო ორსებითი პურისათვის ხომ არ უნდა მუშაობდეს კაცი.

თუმცა ბილლერიც პურეუა იყო, მაგრამ ყოველთვის მოგწონდა იმისი თქმულება: „ადამიანს იმიტომ აქვს გონება მინიჭებული, რომ ვიდრე ხელ გააკეთებდეს რასმე, გონებამ შეიმუშაოსო“.

სამწუხაროდ, ჩვენს ამხანაგებს სახელოსნოში სრულიად შეგნებული არა აქვთ ესა. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეხლა სახელოსნოები მხოლოდ იმიტომ ირიან, რომ დრო მოკვლას იქ ადამიანმა. პაროლი ამბობს: „წინ, ფუჩქარებლათ, რათა მეზობელი დამეწიოსო“. საიჯარო სამუშაო ამიერიდან ადარ არის, ეს ზარმაცი

სიონის გაძარცვა.

სრულიად საქართველოს საქალაქოთაშორისო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა აღძრულ იქმნას მთავრობისადმი სათანადო მოხსენება იმის შესახებ, რომ სიონის ტაძრის კრებულს აუტანელი სიძვირის გამო გახსნილ ექმნას თფ. ხახელმწიფო ბანკიში კრედიტი 6.513 მ. 87 კ.

სასოფლო-საეკლესიო საზოგადოების ნაციონალიზაცია.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ ამორჩეულმა კომისიამ დაამთავრა გადათვალიერება, შესწორება და დამტკიცება ამ საზოგადოების წესდებისა. საზოგადოებას „კავკასიის“ მიეცემა ერქმევა საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოება. ახალ წესდების განსახილველად ამ მოკლე ხანში დანიშნულ იქნება დასახელებულ საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

ძველი ენების სწავლების შეზღუდვა

ამ დღეებში შესდგა თბილისის საშუალო სასწავლებლების დირექტორთა თათბირი საშუალო სასწავლებლების ტიპის შესამუშავებლათ. განზრახულია ლათინური და ბერძნული ენის სწავლება გარდა 2 გიმნაზიისა ყველგან გაუქმონ.

საქართველოს ელჩის დაბრუნება მოსკოვიდან.

ამ დღეებში დაბრუნდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საბჭოთა მთავრობასთან.

საფრანგეთის კაპიტალისტების ჩამოსვლა.

ბაქოში ჩამოვიდა საფრანგეთის ფინანსიურ ამბანაგობის „აღმოსავლეთს“ ოდესაში მყოფ კომისიის იურისკონსულტი—ბ. ნანრო, რომელიც ამ დღეებში თფილისში ჩამოვა. ხსენებულმა სინდიკატმა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გამოგზავნა მეცნიერ ტექნიკოსების, გეოლოგების და კომერსანტების კომისია იმის გამოსარკვევათ თუ რომელ სამრეწველო საზოგადოებას ხვირია ფული, რათა სათთან

არ შეეფერება სოციალურ თანასწორობის სამუშაო ხელფასს და სამუშაო დროს. მაგრამ თუ „ფულის მიღება უზრუნველყოფილია“, როგორც იწერება ფრანცი, ეხლა ამბობენ: „სამუშაო დათვი არ არის, ტყეში არ გაიქცევაო“. შეუყოყმანებლა და მეცადინეობა სისულელეთა და უპკუობათ ითვლება, ან რა საჭიროა? შეუყოყმანებელ ხომ იმას მიიღებს, რასაც ზარმაცი. ეხლა ადამიანი თავის ბედის მჭედელი ადარ არის: იგი მიეჯაჭვება იქ, საცა სხვები სცხობენ საჭიროდ მის მიჯაჭვას. ასე მწერს ჩემი ფრანცი. ამ სანად იგი უფრო მართალია, ვიდრე სხვა დროს.

„წერაც კი არ შეიძლება იმისი, რამდენი მასალა და ხელსაწყო ფუჭდება ეხლა უყურადღებობისა და მოუყვლელობით. არ ვიცი რას ვიზამდი, რომ შე, როგორც ხელოსანს, წინანდელ დროში ამდენი წელი დამჭირვებოდა ისეთ თანაზომწეებთან, როგორნიც ეხლა ჩემ გვერდით მუშაობენ. მოთმინებიდან გამოსულმა ერთხელ რიგორდაც საკადრისი სიტყვით მოვმართე იმათ:

„ამხანაგებო, საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ყველა შეასრულებს თავის მოვალეობას! ჩვენ ვმუშაობთ ეხლა მხოლოდ რვა საათს თქვენ, ძველი სოციალ-დემოკრატებო, ჩვენს ბებელს ერთ დროს იმედი ჰქონდა, რომ ახალ წესწყობილების დროს, „ზნეობრივი ატმოსფერა“ ყველას ადუღრავს სურვილს სხვაზე უფრო ადრე მიაღწიოს. დაფიქრდით, ამხანაგებო, ჩვენ ეხლა ექსპლოატატორებისა და

ფინანსიური კავშირი ფული, რათა მათთან ფინსიური კავშირი დაიჭიროს რამდენიმე წევრი ამ კომისიისა უკვე იყო თფილისი და ბაქოში გაემგზავრა.

რუსთა საბჭოს წარმომადგენელი ს. უოკერთან.

კვირას, იანვრის 26 ინგლისის დელეგაციის უფროსს გენ. უოკერს წარუდგა ამიერ კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს თავჯდომარე ფ. ლებედევი საბჭოს რამდენიმე წევრი. საუბარის დროს გენ. უოკერმა მათ განუცხადა, რომ მათ არავითარი განზრახვა არა აქვთ რაიმე ცვლილება შეიტანონ ამიერ კავკასიის საქმეებში.

სომეხ—ლტოლვილების გაგზავნა.

გუშინ სომხეთში გაგზავნეს თფილისიდან მეორე მატარებელი სომეხ—ლტოლვილებით. ამ ღღეებში კიდევ გაიგზავნება ლტოლვილები.

სომეხი სამხედრო ტყვეები ბათუმში.

ბათუმში ამ ჟამად იმყოფება რამდენიმე ათასი ყოფილი სამხედრო ტყვე ხომხები, რომელნიც ავსტრია-გერმანია-ბულგარეთიდან და ოსმალეთიდან დაბრუნდნენ და საქართველო-სომხეთის ომის გამო სამშობლოში დაბრუნების საშუალება არა ჰქონდათ. მთავრობამ დაადგინა დახმარება გაუწიოს მათ სადგურ ნატანებიდან სომხეთში გასაგზავნათ.

გენერალ კონ-კრესი ქუთაისში.

გერმანიის ყოფილ დელეგაციის თავმჯდომარე გენერალ კონ კრესი ფოთში დაბრუნდა რადგანაც მას საშუალება არა ჰქონდა გერმანიაში გასამგზავრებლათ, გენ. ფონ. კრესი ფოთიდან ქუთაისში ჩამოვიდა, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს.

სამხედრო ჰოსპიტალის გაცარცვა.

გამოირკვა, რომ თფილისის სამხედრო ჰოსპიტალის საწყობიდან სისტემატიურად იკარგებოდა მაუდი სულ მოუპარავთ 29500 მან. მაუდი. ექვით დააპატიმრეს საწყობის მოდარაჯე რაზმის 6 კაცი.

სიების გამოქვეყნება ხონში.

ხონი იანვრის 25. დღეს გამოცხადდა დაფუძნებელ კრების შესწორებული სიები. აურჩეველია რიცხვში 5249 არის.

კაპიტალისტებისათვის კი არ ვმუშაობთ, არამედ საზოგადოებისათვის. საზოგადოებისაგან ჩვენდა სასარგებლოდვე გვიბრუნდება ყველაფერი“.

„მშვენიერი სიტყვაა“, გაისმა დამცინავი ხმა; ვწუხვართ მხოლოდ, რომ ჩვენ ადარ გვესაჭიროება ჰასტორი. ბებელი შეგვპირდა 4 საათის სამუშაო დღეს და არა 8 საათისას. საზოგადოება დიდია. თავს მოვიკლავ 50 მილონ საზოგადოებისთვის, მაშინ როდესაც დანარჩენი 49.999.999 ასე სულელები არ არიან! რას მოვიგებდი 1/50.000.000, თუნდაც რომ ნამდვილად უკანვე მივიღო ჩემი დამატებითი შრომის საფასური“.

შემდეგ საერთო სიმღერა შემოსძახეს: „არ მოგწონს ჩვენი საზოგადოება შენ, სხვა ეძებე, თუ იპოვნი“.

მას მერე, რასაკვირველია, თავი დავანებე ყოველგვარ ლაბარაკს. სამწუხაროდ, ფრანცსაც ამგვარივე საქმე შეემთხვა. გაზეთი იქ იშვიათად ესწრობა თავის დროზე, თუმცა ყოველ ფურცელზე ორჯერ უფრო მეტი ასეთ-ამწყობები მუშაობენ, ვიდრე წინად. რაც უფრო ახლოვდება საღამო, მით უფრო მეტი ლუდია დალეული მუშაობის დროს და მით უფრო მეტია შეცდომები.

რაცა ავადმყოფ მეტრანპაჟის მაგიერად ფრანცი მუშაობდა და თავაზიანად სთხოვა, რომ სახელოსნოში ხმაურობა შეეწყვიტნათ, მთელმა მუშებმა მარსელეზა შემოსძახეს და განსაკუთრებით იმეორებდნენ ხიტყვებს: „შორს მტარვალთა“.

მილიციელების დაპატიმრება ბიხოვში.

მეკრთამეობისთვის და სხვა ბოროტ მოქმედებისთვის დაპატიმრეს პირველი მილიციის პირველი უბნის კომისარი გიორგაძე, კომისარის თანაშემწე ა. მაჭავარიანი, უფროსი მილიციელი შ. კორინთელი და სხვა.

ბრძოლა ახალციხეში.

მთავრობის საგანგებო რწმუნებულ რუხაძესაგან შემდეგი დეპეშა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალციხიდან.

„მაზრაში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ გაცნობებთ შემდეგს: ორი კვირა იქნება რაც ოსმალეთის მოსყიდულმა აგენტებმა დაიწყეს გაცხარებული მუშაობა მაზრის თითქმის ყველა სოფლებში და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულების მოსაწყობათ მიიღეს ყოველ-გვარი ზომები. შეთქმულთა უმთავრესი ძალები თანდათან თავს იყრიდნენ ფოცხოვში, ახალციხის მაზრის საზღვარზე, რომ აქედან გადმოელახათ საზღვრები და ახალციხისკენ წამოსულიყვნენ. შეთქმულთა ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლების ავანტიურისტებთან, რომელთა საშუალებით სცდილობდნენ ხალხის აჯანყების მოწყობას უმთავრეს ტონის მიმცემი გადატრიალებისთვის აღმოჩნდა ცნობილი ომარ-ფაიქ ნემან-ბადე, რომელიც თფილისში იმყოფებოდა და თავის აგენტების საშუალებით ახალციხის მაზრაში აჯანყებას ამზადებდა. ამ მიზნით მან მიიღო ოსმალთა ბაქოდან მიმავალ ეშელონებისაგან რამდენიმე „ცისტერნა ნავთი“, რომელსაც მოსყიდვის მიზნით უგზავნიდა ახალცხის მაზრაში თავის აგენტებს. 14 იანვარს აწყურში მოვიდნენ ომარ ფაქის აგენტები თფილისიდან, რომელთაც გადასცეს ხალხს, რომ ირტაანიდან მოიწევს ოსმალეთის ჯარი და თქვენ ეხლა მზათ უნდა იყვეთ საქართველოს მთავრობის დასამხობათო. აგენტების დაჭერა შეუძ-

---

ხელოსნები და უფროსი მუშები როგორც წინად ეხლაც არსებობენ სახელოსნოებში, მაგრამ იმათ მუშები ირჩევენ და ითხოვენ კიდეცა, თუ თავის ხელქვეითთა გუნებისანი არ გამოდგნენ. ამიტომაც ცდილობენ არაფერი აწყენინონ მუშებს.

ვინც, ჩესავით და ფრანცივით, წინაალმდეგობას გამოიჩენს, ვაი მისი ბრალი. ხან ამხანაგები აუხირდებიან, ხან ხელოსნები. ამასთან გასვლა სახელოსნოდან ისე არ შეიძლება, როგორც ჯარის კაცს არ შეუძლიან გავიდეს იმ როტიდან, რომლის უნტერ-ოფიცერი შეურაცყოფას აყენებს.

წინანდელ კანცლერს კარგათ ესმოდა ესა, მაგრამ მას არ შეეძლო ამის შეკვლა. იმის დახმარებით გამოცემული სისხლის სამართლის კანონი სამუშაო ბეგრის დარღვევასა ყოველ სახელოსნოშია ჩამოკიდებულ, საცა არ ჩამოუგლეჯიათ. იქ გრძლად ჩამოთვლილია სასჯელი ზარმაცობისათვის უყურადღებობისათვის, უგულობისათვის, გაუგონრობისათვის, უფროსთა მიმართ უზრდელობისათვის. დამნაშავეთ ალარ მიეცემათ ფულის ასსიგნოვკები, ხორცის კერძი, ან და მთელი სადილი დაბოლოს დამწყვდეულნი იქნებიან მუშათა სახლში. მაგრამ საცა არ არის მომჩივანი, არც მოსამართლეა.

სახელოსნოთა გამგეები ისევე ირჩევიან როგორც ხელოსნები, და ამიტომ ვერაფერს აწყენინებენ თავიან ამომრჩევლებს სასამართლოს საქმის წარმოება სასჯელთა დებულებისა რთულია ამ მოკლე ხანში რამ-

ლებელი შეიქმნა. ერთი მათგანი, მიღებული ცნობებით, ფოცხოვში წავიდა, მხოლოდ მეორე ქვაბლიანის რაიონის ასანჯანყებლათ. 15 იანვარს ზოგიერთ სოფლებში თითო ოროლა პირებმა მოითხოვეს ომარ ფაიქის თფილისიდან დაბრუნება, მხოლოდ 16 იანვარს ფოცხოვის რაიონის საზღვრებიდან მივიღეთ უტყუარი ცნობები, რომ ფოცხოველ ბრბოს მეთაურობს ოსმალოს ოფიცერი შუხუტ ბეი, რომელიც ჩვენ მოსაზღვრე რაზმს ემუქრებოდა. 17 იანვარს შეთქმულობა ფაქტად იქცა და შუხუტ ბეის ბრბომ გადმოლახა საზღვარი სოფელ ხოწასთან, სადაც ტყვეთ წაიყვანეს მოსაზღვრე რაზმის ჩვენი რვა ჯარის კაცი. ბრბომ დაიკავა 19 იანვარს შემდეგი სოფლები: ხონამარელი, ცკისე, წარბასტუაანი, უდე, ჯაყისმალი, ინჟყოლა და ჩათალა. ახალციხიდან გაგზავნილ ჯარს აჯანყებულ სოფლებში ზურგიდან ესროდნენ, მაგრამ ვინაიდან ავანტიურისების მოწოდებას არ აჰყვა ქვაბლიანის რაიონი, შეთქმულობამ მიზანს ვერ ვერ მიაღწია. ქვაბლიანის რაიონის წარმომადგენლებმა ულტიმატუმით მიმართა ფოცხოვიდან შემოჭრილ ბრბოს: 24 საათში დაეცალათ ახალციხის მაზრის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებნი ემუქრებოდნენ იარაღით შებრძოლებას. რაკი შინაური აჯანყება შეუძლებელი შეიქნა, ოსმალეთის აგენტების მაზრის ტერიტორია. როგორც სამხედრო ძალები, ისე ადმინისტრაცია ყოველ ზომებს იღებენ აჯანყების ჩასაქრობლად და უმტკივნეულოდ ჩასატარებლად, ვინაიდან ახალციხის მაზრის მშრომელი გლეხკაცობის უმრავლესობა არ იზიარებდა შეთქმულთა განზრახვებს. დავემყარე რა ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოს გადაწყვეტილებას, მიელო მთავრობას სასტიკი ზომები ავანტიურისტების წინააღმდეგ და ესცანი რა საჭირო შეთქმულობის ძირიანათ ამოსაფხვრელათ სასტიკი ზომების მიღება, განკარგულება მოვახდინე დაეპატიმრებიათ ყველა ის პირები, ვინც საქართველოს მთავრობის წინააღმდგ შეთქმულობაში მონაწილეობდენ და მიზნათ ჰქონდათ ოსმალთა გზა აბნეულ აფიცრების მეთაურობით ისევ ოსმალეთის ბატონობის დაბრუნება. ბევრი შეთქმულთაგანი დღეს

დენიმე ქვის მთეელელი დააბეზღეს საზოგადოებიდან იმისთვის, რომ ნამეტან დიდ ხანს ჩერდებოდნენ და მუშაობის დროს მეტად გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ყოველ ქვას, როგორღაც უმაღლესის ბრძანებით ერთი სახელოსნოს მთელი პერსონალი სხვა ქალაქში გადაიყვანეს. მაგრამ საზოგადო წესით ასეთი გადაყვანა ხდება ხოლმე მხოლოდ პოლიტიკურის მოსაზრებით. ამიტომ ახალგაზრდათა პარტია თხოულობს ეხლ, რომ მსაჯულთა გამოუცვლელობის კანონი აგრეთვე გავრცებული იყოს ყველა მუშებზედაც.

თუმცა გადაყვანაც არ შველის ყველგან. ყველა ხომ ჰპოულობს— ასეთია მოთხოვნილება სოციალური თანასწორობისა ყოველ სხვა ადგილას იმავე სამუშაო ხელფასს, იმავე საზრდოს და სადგომს, რომელიც წინანდელ სამყოფ ადგილას ჰქონდა. ზოგიერთ ახალგაზრდა ქარაფშუტასათვის ადგილის გამოცვლა სასიამოვნო გასართობს წარმოადგენს. იტანჯებიან მხოლოდ ხნიერნი, რომელნიც ძალაუნებურად შორდებიან ცოლ-შვილს.

მაგრამ რომიც ხომ ერთი დღეს არ ამენებულა რა არის ეს სული თვითსიყვარულისა, თუ არ წყეული მემკვიდრეობა საზოგადოებისა, რომლებიც ყველა ცდილობდა სხვისთვის ეჯობნა. ჩვენი ახალი სკოლები და აღმზრდელი დაწესებულებანი ჩქარა შეჰქმნიან იმ „ზნეობრივ ატმოსფერას“, რომელშიაც ხე სოციალ-დემოკრატიისა ფართოდ აყვავდება და თავის ტოტებ ქვეშ შეიფარებს ბედნიერ კაცობრიობას.

შემდეგი იქნება

დაპატიმრებულია, მხოლოდ დანარჩენთა დასაპატიმრებლათ სასტიკი ზომებია მიღებული. ამ ჟამათ მაზრა მშვიდდება, მაგრამ შეთქმულობის ძირიანად ამოსაფხვრელათ საჭიროა ფოცხოვის რაიონის გაწმენდა, სადაც დღეს სრული ანარქიაა გამეფებული. მხოლოდ ფოცხოვის რაიონის ჩვენი ჯარის მიერ დაკავებით უზრუნველ ვყოფთ ახალციხეს ბრბოს შემოსევისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობენ ოსმალთა აფიცრები და მიზნათ აქვთ ოტომანის იმპერიის ბატონობის დაბრუნება ახალციხეახალქალაქშიო“.

ხიზნებისა და სხვათა მიწების

კერძო საკუთრებად გამოცხადება.

(პარლამენტის მიერ მიღებული კანონი)

1. ის სანადელო ადგილები, რომლების დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და სახელმწიფო პოსელიანებმა 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის ძალით, და რომლებიც მათ სარგებლობაში იყო „უსტავნი ღრამოტებით“, აღიარებულ იქნეს მათ კერძო საკუთრებად.

2. წინა მუხლში აღნიშნული ადგილების საზღვრები გამოიკვლევა უსტავნი ღრამოტით, და თუ ღრამოტაში საზღვრები ან სულ არ არის ნაჩვენები, ანა და არ ეთანხმება ახლანდელ მფლობელობის საზღვრებს, ეს ადგილები უნდა მიჩნეულ იქნეს იმ საზღვრებში, რომლებშიაც მათ პატრონთ ჰქონდათ ნამდვილი მფლობლობა 1917 წლის 1 მარტამდე.

3. იმ ნორმების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია მემამულეთათვის ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლ. 7 მარტის კანონით, აღიარებულ იქნეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხებისა-ის სახაზინო მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში, როგორც ხაზინისაგან მიცემული; იმ საზღვრებში, რომლებშიაც გლეხები სარგებლობდნენ 1917 წლის 1 მარტამდე:

ბ) ყოფილ ხიზანთა, მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში სახაზინო უფლებით;

გ) გორის მაზრაში მდიან ოსეთის უბნის ყოფილ გლეხთა მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში ეგრედ წოდებული „ვორონცოვის უფლებით“;

დ) გორის მაზრის მთიან ოსეთის უბნის ყოფილ გლეხთა მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში ჯაფის უფლებით;

ე) სოხუმის ოლქის სხვადასხვა გლეხთა-ის მიწები, რომლებიც მათ ქონდათ მიცემული 1870 წლის 8 ნოემბრის დებულების წესით.

ვ) იმავე სომხის ოლქში მცხოვრებთ ჰირთა-ის მიწები, რომლებიც მათ ჰქონდათ მიცემული 1900 წლის 1 მაისის კანონით საშვილიშვილო სასარგებლოთ ან სასოფლო მეურნეობის წესდების ძალით მცენარეების გასაშენებლად.

4. ამა კანონის პირველ და მესამე მუხლებში აღნიშნული ადგილები აღიარებულ იქნეს მათ მფლობელთა კერძო საკუთრებად უსასყიდლოთ.

5. თუ მფლობელნი მოისურვებენ საკუთრების დასამტკიცებელ აქტების მიღებას, მათ შეუძლიათ მიმართონ იმ წესს, რომელიც განსაზღვრულია იმათთვის, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები მიეწირება.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

რუსეთის საკითხი და მოკავშირენი.

ეიფელის კომკიდან უმავთულო ტელეგრაფით რუსეთის გავლენიან ჯგუფს წინადადება გაუგზავნეს ქ. პრინკიპოში პრინცის კუნძულზე გაგზავნონ 3—3 წარმომადგენელი. ფრანგული გაზეთები განაგრძობენ უმაღლეს საბჭოს რუსეთის შესახებ გადაწყვეტილების კრიტიკას. ზოგიერთი მათგანი გაკვრით აღნიშნავს, რომ ვილსონი ბოლშევიკებს აიძულებს უფრო ენერგიულად ამოქმედდენ რათა ამნაირათ კაცობრიობა მოამზადონ ბოლშევიკებთან ბრძოლისთვის ისე როგორც ამერიკაში მოამზადა გერმანიასთან ბრძოლისთვის.

აღმოსავლეთ პრუსიის დაცვა.

დანციგმა ჰინდენბურგს სთხოვა აღმოსავლეთ პრუსიის დაცვა. ჰინდენბურგმა დაჰპირდა წინააღმდეგობა გაუწიოს აღმოსავლეთ პრუსიის გერმანიის იმპერიისაგან ჩამოშორების.

საალყო წესები ჰამბურგში.

სპარტაკელთა აჯანყების გამო ჰამბურგში საალყო წესები გამოცხადდა.

მონარქისტების გამარჯვება პორტუგალიაში.

პორტუგალიიდან ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ცნობები მოდის. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ ლისაბონის გარნიზონის უმრავლესობამ მეფემ აღიარა და მონარქისტებმა ლისაბონის ახლო დაიჭირეს უმავთულო ტელეგრაფის სადგური. მეორეს მხრით ლისაბონიდან ცნობაა, რომ მონარქისტების მოძრაობა შეჩერებულია.

ირლანდიის ეროვნული პარტიის დაარსება.

ლონდონის გაზეთების ცნობით, თემთა პარტიის თავჯდომარემ (სპიკერმა) თანხმობა განაცხადა რომ მუშათა პარტიის ლიდერმა ოპოზიციის წინა სკამი დაიკავოს პარლამენტში. სტეფანე გვეგენის თავმჯდომარეობით შესდგა ირლანდიის ცენტრის პარტია, რომელსაც მიზნათ აქვს მოიპოვეს თვითმართველობა შიგნით იმპერიაში და საოლქო თვითმართველობა იმპერიაში პროვინციალურ ყრილობებით.

ბოლშევიკ—ლატიშების გამარჯვება.

რიგა, იან. 25 იანვრის 22 ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ, ლატიშელთა ჯარმა აიღო ბრძოლით, შრუნდენი, რომელიც ვინდავის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. მდ. ვინდავაზე თეთრგვარდიელებმა ააფეთქვეს ხიდი. ბრძოლის შემდეგ წითელ გვარდიელებმა გოლდიგენი დაიჭირეს რიგა საბჭოთა მართველობის ხელში გადადის. შურვიევის სადგური ლატაშელთა წითელ არმიელებმა დაიჭირეს.

თეთრგვარდიელთა აჯანყება ტაშკენტში

კენტი იანვრის 23. იავრის ღამით თეთრგვარდიელებმა ყოფილ სამხედრო კომისარის ოსიპოვის მეთაურობით განიზრახეს აჯანყება. საბჭოა მთავრობის დასაცავათ პირველათ გამოვიდა კალუგაევის რაზმი. სამხედრო ინსტექტორების შკოლა, მეოთხე საბჭოთა პოლკი რკინის გზის და სხვა მუშები და მეციხოვნე ჯარი ბელოვის წინამძღოლობით. 20 იანვარს საერთო ძალით დაესხენ თერგვარდიელთა ბანდას.

გერმანელების წასვლა ლიბავადან.

ლიბავა იანვრის, 24 გერმანელები ქალაქს სტოვებენ სურსათი, რკინის გზის და სხვა ყოველგვარი მასალა თან მიაქვთ.

შლეზოვიგის პეტიცია დანიასთან შეერთებისა.

კოპენგავენიდან იუწყებიან, რომ დანიის მთავრობამ ცენტრალურ შლეზვიგის მცხოვრებთაგან შემდეგი პეტიცია მიიღო: ვილსონის პროგრამის თანახმათ, სადაც ერებს თვითგამორკვევის უფლება ეძლევა, პროგრამა, რომელიც მიიღო გერმანიის მთავრობამ, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შლეზვიგის მცხოვრები მამაკაცები და ქალები, გთხოვთ იზრუნოთ, რომ კენჭის ყრით საშუალება მოგვცენ გამოსცხადოთ ჩვენი სურვილი დანიასთან შეერთების შესახებ. ისე, როგორც ჩრდილოეთ შლეზვიგის ინტერესების დაცვა იკისრეთ, აკისრეთ აგრეთვე ჩვენი ინტერესების დაცვა საზავო კონგრესზე და ეცადეთ მოგვცენ უფლება ჩვენი ბედი ჩვენვე გადავწყვიტოთ. დანიის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა სკავენიუსმა უპასუხა, რომ [illegible] თხოვნა, მისცენ მათ უფლება [illegible] თავის სურვილები, დაკმაყოფილებულ იქნება.

სპარტაკელთა აჯანყება ბერლინში.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ სპარტაკელების იერიშების დროს მთავრობის ჯარი ნაღმებით მოქმედობდა. აჯანყებულთა რიცხვი აღწევს 20,000. მოკლულთა 600.

სოციალისტების დამარცხება ავსტრიაში.

ავსტრიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ბერნიდან იუწყებიან, რომ სოციალისტები, რომელნიც თითქმის უმთავრეს როლს თამაშობდენ მთავრობაში პირველათ დამარცხდენ დროებით ყრილობაზე.

სამხედრო ბეგარა ფინლიანდიაში.

ფინლიანდიის სეიმმა ოთხშაბათს მიიღო სამხედრო ბეგარის შემოღების კანონპროექტი.

საზავო კონფერენცია.

რუსეთის ბოლშევიკების დელეგაცია.

ფრანგული პრესა. (გაგრძელება). ლენინის ორგანოს „პრავდას“ ცნობით, საბჭოთა მთავრობას უნდოდა გაეგზავნა პარიზში დელეგაცია, რომელიც რუსეთის წარმომადგენელი იქნებოდა.

პროფესიონალურ კავშირების კონფერენცია.

ლ ი ო ნ ი, იანვრის 24. ბერნში 16 თებერვლამდე საერთო შორის კონფერენცია იწვევს პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალურ კონფერენციას.

საზავო კონფერენციის კომისიები

კლემანსომ გამოაცხადა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების გვარები, რომელნიც 5 კომისიაში იყვნენ დანიშნულნი. კომისიების დაარსების წინათვე იყო გადაწყვეტილი ხალხთა ლიგის კომისია: 1) ამერიკა: პრეზიდენტი ვილსონი და პოლკოვნიკი ჰაუზმნი; 2) ინგლისი-რობერტ სესილი და გენერალი სმიტი 3) საფრანგეთი:-ლეონ ბურჟუა და დარნოდი, 4) იტალია-ორლანდო და სენატორი სციალოია, 5) ესპანია ვიკენტი შინდა და ოჩია. 2) ომის პასუხის მდებლობის კომისია 1) ამერიკა-2 დელეგატი, რომელიც ჯერ არ დაუსახელებია, 2) ინგლისი-სერ გორდონ ხოვარტი, მეორე დელეგატი ჯერ არ დაუნიშნავთ, 3) საფრანგეთი-ტანდიუ და ლარნოდი 4 იტალია სენატორი სციალოია და დეპუტატი რემონდო 5) იაპონია 2 დელეგატი რომელიც ჯერ არ დაუსახელებიათ. 3). რესტავრაციის კომისია: 1) ამერიკა-პარიური დავი და საკორლივი 2) ინგლისი-ოოზი, სიმუნ დკლოარი და კიუნლისი, 3) საფრანგეთი კლოტია, ლიუშერი და ლებრანი; 4) იტალია სალანდრა, დამეგლო, მესამე დელეგატი ჯერ არ დაუსახელებიათ. 5) იაპონია-მოკი, მაგაფრა და ფრიკი.. IV. მუშათა საერთაშორისო კანონმდებლობის კომისია: 1) ამერიკა-იურლი და გამრპერი, ინგლისი-ბერნსი და მალკოლანი; 2) საფრანგეთი კოლარდი და იუშარი 3) იტალია-მადირი დე-პლანგი და კაბრინი, 4) იაპონია ოჩია და რკა. V კომისია ნავთსადგურების საზღვაო და რკინის გზების მართველობისა: 8) შეერთებული შტატები: უეიტი და კიდევ დელეგატი 2) ინგლისი. სისონი და ერთი დელეგატი, 3) საფრანგეთი: ანდრია ვესი და კლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათის სხდომაზე შეუდგენ ხალხთა ლიგის საკითხის გაშუალებას. კენჭი უყარეს შემუშავებულ რეზოლუციებს: „განიხილა რა ფინანსიერებენ ხალხთა ლიგის შედგენის შესახებ, კონფერენცია ადგენს: 1) საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავათ, რომელიც ლიგა უნდა დაამყაროს მოკავშირეებმა, საჭიროა შესდგეს ხალხთა ლიგა, „ხალხთა კავშირის ორგანო, რომელიც ეზრუნველყოფს ეს ... მიღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას და შეუძლებელს გახდის მომავალში ომებს. 2) ეს ლიგა, რომლის შექმნაც „საზავო ხელშეკრულების ნაწილს შეადგენს, მისაწვდომი უნდა იყოს ყოველ კულტურულ ერთეულს, რომელსაც კი შეიძლება მიენდოს ლიგის მიზნების განხორციელება. ხალხთა ლიგის წევრები დრო გამოშვებით შეიკრიბებიან საერთაშორისო კონფერენციაზე, ამასთანავე მას უნდა ქონდეს მუდმივი ორგანიზაცია და სეკრეტარიატი, ლიგის მუშაობის თვალყურის სადევნებლათ ერთი კონფერენციის გათავებიდან მეორე კონფერენციის მოწვევამდე. ამის გამო კონფერენცია ნიშნავს შეთანხმების სახელმწიფოთ წარმომადგენელთაგან კომისიას ლიგის კონსტიტუციის და მის ატრიბუტების შესამუშავებლათ.

ინდოეთი-ევროპის საჰაერო მიმოსვლა.

ამ დღეებში რადიოტელეგრამამ ლონდონიდან ინდოეთში გადაფრენილ ჰეროპლანის უვნებლათ ჩასვლა გვაცნო. ამ გადაფრენას რეიტერის სააგენტომ შემდეგი ცნობები დაურთო.

გაზეთები გენერალ—მაიორ სალმონდის ინდოეთში გადაფრენის ოფიციალურ ცნობას, დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

„Times“-მა ინდოეთთან საჰაერო მიმოსვლის ხელსაყრელობის საკითხს მთელი წერილი უძღვნა, ხოლო ამ წერილის კორესპონდენტი იუწყება, რომ ინდოეთსა და ევროპას შუა გადაფრენა ახლო მომავალში დაიწყებაო. ბრიტანიის საჰაერო ლიგამ, უკვე გიდასდო საჭირო თანხა იმ ხარჯებისათვის, რომელსაც ავსტრალიიდან ინდოეთში გადაფრენა გამოიწვევს. დაწესება საჰაერო სატრანსპორტო კომიტეტისა, იმისთვის, რომ მოეწყოს ყოველ დღიური დამოკიდებულება ლონდონსა და კალკუტას შუა, დამფუძნებელია უმთავრესად ლორდ მონტეგიუს გამოკვლევებზე; რომელნიც იყო ინდოეთის კომიტეტის მთავარი მდივანი, მან თავის გამოკვლევებით დაამტკიცა, რომ ვერავითარი ცუდი ამინდი ვერ შეუშლის ხელს ინდოეთსა, მესოპოტამიასა, სირიასა, არაბეთსა და ეგვიპეტს შუა გამართულ საჰაერო მიმოსვლას. ახლო მომავალში ლორდი მონტეგიუ გადაფრინდება ინგლისში თავის გამოკვლევათა გასაგრძელებლათ. კორესპონდენტი ბაზს უსვამს, რომ ინდოეთმა მოგვცა დიდი პროკენტი საჰაერო ფლოტის შემადგენლობისა და რომ მეორე საჰაერო ესკადრამ დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე. თუ შევხედავთ ამას იმ მოსაზრებით თუ როგორ გამოკეთდა საკითხი ინდოეთის მიერ იმპერიის დაცვისა, საჰაერო მიმოსვლა დიდ ფაქტორათ უნდა ჩაითვალოს და ინდოეთმა არ უნდა დაკარგოს ეს საკითხი საჰაერო საქმის მოწყობისა გადასცეს დასავლეთ ქვეყნებს. იხსენიებს რა საჰაერო მიმოსვლის დიდ მნიშვნელობას, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მგზავრობა შომბეიდან კალკუტამდე სულ 17 საათს მოითხოვს. იმავე დროს ეგვეე მანძილი რკინის გზით 40 საათს ითხოვსო. ბომბეიდან სიმლამდი მგზავრობა ორი დღის მაგიერ 14 საათი გასტანს, ხოლო კარახჩიდან დელამდი 48 საათის მაგიერ—10. საჰაერო ფოჩტის არსებობის დროს რანგუნიდან მანდალეთი კალკუტაში და ჩითაგონში, საკითხი ბირმისა განმარტოვებისა თავის თავად იხსნება. ჰეროპლანი, როგორც საშუალება, რომელიმე მხარესთან სწორი დამოკიდებულებისათვის, უადვილებს [illegible] ... ეგი მთებში იმყოფება, ცენტრებთან დამოკიდებულებას. კომერციული, ადმინისტრატიულ და სტრატეგიულ მოსაზრებით, ძალიან საჭიროა, რომ ინდოეთმა საჭირო რიცხვი ჰაეროპლანებისა და პილატებისა ადრიანათ მიიღოს.

ლორდ მონტენგიუ თავის წერილში, რომელიც მოთავსებულია „Times“-ში იუწყება. რომ მას არავითარი ოფიციალური დავალება არ ამოქმედებს ინდოეთისაკენ გამგზავრების დროს. იგი მხოლოდ აღმოსავლეთის გზებზ იკვლევს. იგი მუდამ ფიქრობდა, რომ განვითარება იმპერიის საჰაერო მიმოსვლისა, როგორც ფოჩტისა, აგრეთვე მგზავრთა თავის, ეგვიპატესა, ინდოეთისა და აფრიკასთან დამოკიდებულება. იქნება პირველ პრაქტიკული ნაბიჯი ავიაციაში. ახლო თვეებში შეიძლება მოეწყოს რეგულიარული საფოჩტო მიმოსვლა ლონდონსა და ინდოეთს შუა. იგი დაიმედებულია, რომ საჰაერო სამინისტრო, რაც შეიძლება დაჩქარებით გადააკეთებს დიდ ჰაეროპლანებს, რომელიც საჰაერო ბრძოლისათვის იხმარებოდა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

ფასი:

ერთ თვით 10 მან. | სამ თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარგასლაშია, სახახლის ქ. № 5.

ქართული ლატარია.

მოკალაქენო, ნუ აგვიანებთ

გილეთების შეძენას!

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

ფალავა ქარუმიძის

საშოვნო სკულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

ბათუმის კრთველია

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხელგბული გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. ასაკი მოსწავლისა,
2. რაზიდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება რჩება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. (ბათ, ვიცა საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნაბიჯარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათითან საღამოს ცხრა საათამდე.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომელებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი ვაგონოებით და ფუთოებით

როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. „ქართლი“.

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საგან.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დალმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ე. ქ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. №

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.

ქართველია ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.